**მთავარი რედაქტორი** – ნიკოლოზ ანთიძე

**სარედაქციო კოლეგია:**
დავით ლომიტაშვილი, კონსტანტინე ფიცხელაური,
ნიკოლოზ თუშაბრამიშვილი, ზურაბ გიორგაძე,
ნიკოლოზ მურღულია, თამარ ნინიაშვილი

**პროექტისა და ტექსტის ავტორი** – მაია ჩოლოყაშვილი

**სამეცნიერო ტექსტის ავტორი** – გურამ ყიფიანი

**კორექტორი** – ქეთევან ქამუშაძე, თეა ქაშაკაშვილი

**ინგლისურად თარგმნა** ნინო გაბუნიამ

**დაკაბადონება** – ნიკოლოზ ბაგრატიონი

***Editor-in-chief*** *– Nikoloz Antidze*

***Editorial Board:***
*David Lomitashvili, Konstantine Pitskhelauri, Nikoloz Tushabramishvili,*
*Zurab Giorgadze, Nikoloz Murghulia, Tamar Niniashvili*

***Project and text author*** *– Maya Cholokashvili*

***The authors of the scientific text*** *– Guram Khipiani*

***English translation by*** *Nino Gabunia*

***Proofreader*** *– Ketevan Kamushadze, Tea Kashakashvili*

***Typesetter*** *– Nikoloz Bagrationi*

**ISBN 978-9941-8-2369-5**

**თბილისი 2020**

საქართველოს კულტურული
მემკვიდრეობის დაცვის
ეროვნული სააგენტო

NATIONAL AGENCY FOR
CULTURAL HERITAGE
PRESERVATION OF GEORGIA



თუ შენ უკვე დიდი ხანია „არქეოლენდთან“ მეგობრობ, ესე იგი ბევრად იმაზე მეტი იცი, ვიდრე სხვა შენმა თანატოლებმა. გამოდის, რომ „ლურჯა ცხენებსაც“ დამეგობრებიხარ,



## შვიდი ზეცაც გადირბინე, არსად შეგისვენებია!..

ბუნებას ჭირვეულყოფილ ადამიანებთან ერთად შებრძოლებიხარ, მეზოლითელების მხარდამხარაც გინადირია და ჭირვეული სოფლებითაც დაგიმშვენებია დედამიწა!

## მერე?

მერე ხეტიალი მოგბეზრებია და დამჯდარი ცხოვრების წესზე გადასულხარ, ნეოლითური რევოლუციაც მოგიხდენია!

## შემდეგ?

შემდეგ უცოდინრობას ცოდნით აჯანყებიხარ და ბრინჯაო აღმოგიჩენია! კაცობრიობის ბედის ბორბალი წალმა დაგიტრიალებია!...

## და

ანტიკური ცივილიზაციის კარიბჭემდე მისულხარ!

ამიტომ „არქეოლენდი“ უკვე მზად არის ანტიკურ ეპოქაში





გამოგზაურონ, წაგიყვანონ იმ სამყაროში, რომელიც თავისუფლებამ დაბადა და დაგანახონ იქ, თავისუფლების



## „მშვენიერ მინდორ-ველზე რანაირი ფერებია!“

მაშ ასე, თუ შენ უკვე შვიდი წლის ხარ და ჯერ არ ხარ ჩვიდმეტის, არქეოლოგიის დოქტორი, პროფესორი გურამ ყიფიანი 8 წლის თეკლა დოლიძესთან და 9 წლის ნიკოლოზ ყიფიანთან ერთად თავისუფლების არქეოპოლისებში გამოგზაურებენ!





გაჰყევი მათ და მეგზურობა გაუწიეთ საფრანგეთში მცხოვრებ ჩვენს 7 წლის თანამემამულე თინათინ სარჯველაძეს, რომელმაც „არქეოლენდის“ ზღაპრულ ისტორიებთან თქვენი ფრანგი თანატოლები დაამეგობრა.



მაგრამ, ვინაიდან, ყველას კარგად გვახსოვს, რომ

„ყაყაჩოსა სიწითლითა
ყანა დაუმშვენებია,
ყმაწვილსა კარგი სწავლითა
დედა გაუხარებია.“





# ამიტომ ცოტა ხნით ვჩერდებით და ვიმეორებთ:

- მას, ვინც გათხრებს აწარმოებს და გამოაქვს დასკვნები იმასთან დაკავშირებით, თუ რა ხდებოდა დედამიწაზე ამა თუ იმ საუკუნეში - სად და როგორ ცხოვრობდნენ ადამიანები? როგორ ეგუებოდნენ და ითვისებდნენ გარემოს? როგორ ნადირობდნენ? როგორ თევზაობდნენ? როგორ ვითარდებოდნენ და როგორ მოვიდა კაცობრიობა დღემდე - არქეოლოგი ჰქვია.
- დედამიწის პირველი არქეოლოგიური კულტურა პალეოლითია.
- ნეანდერტალელები ძირითადად მღვიმეებსა და ღია სადგომებში ცხოვრობდნენ.
- ძველი ქვის ხანა შუა ქვის ხანამ - მეზოლითმა შეცვალა.
- მეზოლითის ხანაში საფუძველი ჩაეყარა ერთ ადგილას დამკვიდრებულ ცხოვრებას - სედანტარიზმს, მცენარეთა მოშენებასა და ცხოველთა მოშინაურებას, რაც პერმანენტული დასახლებების წარმოქმნის მიზეზები გახდა.
- მეზოლითის ხანა ნეოლითმა - ახალმა ქვის ხანამ შეცვალა.
- ნეოლითის ეპოქაში ადამიანი დაეუფლა საარსებო საშუალებათა მოპოვების ახალ ხერხებს და მოხდა ნეოლითური რევოლუცია.
- „ნეოლითური რევოლუცია“ არის კაცობრიობის განვითარების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნახტომი, როდესაც ადამიანმა ნადირობა და შემგროვებლობა საკუთარი საკვების წარმოებით (მიწათმოქმედება, მესაქონლეობა) და ბინადარი ცხოვრებით ჩაანაცვლა.





- გაჩნდა პირველი სოფლები.
- ქრისტეშობამდე VI-V ათასწლეულებში დედამიწაზე ნეოლითიდან ბრინჯაოს ხანაზე გარდამავალი პერიოდი - ენეოლითის ეპოქა იდგა.



- ენეოლითის ხანაში ადამიანები უკვე საკვებად იყენებდნენ რძესა და მისგან წარმოებულ პროდუქტებს, ისწავლეს სპილენძის მოხმარება და კაცობრიობამ ბრინჯაოს ხანაში შეაბიჯა.
- ქრისტეშობამდე III ათასწლეულიდან I ათასწლეულის დასაწყისამდე დედამიწაზე მიმდინარეობდა კაცობრიობის კულტურულ-ისტორიული განვითარების ის ეპოქა, რომელსაც ბრინჯაოს ხანა ეწოდება.
- ბრინჯაოს ხანა იყოფა სამ პერიოდად: ადრე ბრინჯაოს, შუა ბრინჯაოსა და გვიან ბრინჯაოს ხანად.
- ამ პერიოდში ადამიანმა მიიღო ბრინჯაო, რაც ნავთობის აღმოჩენის ტოლფასადაა აღიარებული.
- ბრინჯაოს ხანაში განვითარდა მეტალურგია, გაჩნდა საკუთრება, კერძო საკუთრებამ წარმოშვა საზოგადოების დაწინაურებული ფენები, სამხედრო ხელმძღვანელები, შეიქმნა ბელადის კულტი, ჩაისახა დამწერლობა, განვითარდა ვაჭრობა, მაღალ დონეს მიაღწია მიწათმოქმედებამ, მესაქონლეობამ და მეთუნეობამ.

**და დედამიწაზე ანტიკური ხანა დადგა!**



- პარიბჭე → შენობის წინ გამოწეული ნაწილი, რომელიც სახურავის საყრდენი სვეტებით ან თაღებით არის შექმნილი და ღიაა ერთი ან სამი მხრიდან. ქალაქის, სასახლის და სხვ. საზეიმო შესასვლელი.
- არქეოპოლისი → ძველი ქალაქი (არქეო - ბერძნულად არის ძველი, ხოლო პოლისი - ქალაქი).
- პალეოლითი → ქვის ხანის ყველაზე ხანგრძლივი და ადრეული პერიოდი.
- ევოლუცია → ლათინური სიტყვაა და ნიშნავს თანდათანობით გაშლას. ევოლუცია რაიმე ცვლილების განვითარების თანმიმდევრული და ხანგრძლივი პროცესია, მისი საპირისპირო ფორმაა რევოლუცია, ანუ ნახტომისებური ცვლილება.
- სედანტარიზმი → დამჯდარი ცხოვრების წესი.
- მეგალითი → უზარმაზარი ქვებისგან აგებული შენობა.
- სტრუქტურა → აგებულება.
- კერამიკა → თიხა.
- ეპოქა → დროის დიდი მონაკვეთი, რომელიც ხასიათდება ღირსშესანიშნავი მოვლენებით.
- ღირსშესანიშნავი → რაღაცით გამორჩეული, საუკეთესო, დასამახსოვრებელი.
- ხანა → გარკვეული პერიოდი, დრო.
- მეთუნეობა → საგნების დამზადება გამომწვარი თიხისგან.





# ანტიკური ხანა

უძველესი ანტიკური ცივილიზაცია კაცობრიობის ისტორიის თორმეტ საუკუნეს მოიცავს. ანტიკური ხანა დაიწყო ქ.წ. VIII საუკუნეში და ქ.შ. V საუკუნის შუა წლებამდე მიმდინარეობდა.

## საინტერესოა რამ წარმოშვა ანტიკურობა?

უპირველეს ყოვლისა, თავისუფალმა სამყარომ, ანუ პოლისებმა. პოლისი პირდაპირი მნიშვნელობით ქალაქს ნიშნავს. თუმცა, ანტიკურ ეპოქაში ქალაქი მისდამი დაქვემდებარებულ ქვეყანას მართავდა. სწორედ აქედან მომდინარეობს სიტყვა პოლიტიკა, ანუ - პოლისების მართვის ხელოვნება.

## მაგრამ რა არის თვითონ პოლისი? რა ფუნქცია აქვს მას?

იმისთვის, რომ რაიმე ტერიტორიას პოლისი ერქვას არანაირი მნიშვნელობა არა აქვს მის ზომას, ზოგიერთი პოლისი დიდია, ზოგიც პატარა. მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ ქალაქები ერთმანეთისგან განსხვავებულია, მაინც ყველა მათგანს აქვს რაღაც საერთო. ქალაქობის განმსაზღვრელი ერთ-ერთი ნიშანია მმართველობის გადანაწილება მთელ ქვეყანაზე, ანუ გარკვეულ ტერიტორიულ ერთეულს ქალაქი ჰქვია იმ შემთხვევაში, თუ ის მართავს ქვეყნის პროვინციებს და განკარგავს საქონლის განაწილების სისტემას. მაგრამ ბერძნები და რომაელები ნამდვილ ქალაქს მხოლოდ ისეთ ტერიტორიას უწოდებდნენ, რომელსაც სიმაგრე შემოუყვებოდა.

საქმე ის არის, რომ ყოველი ქალაქის მშენებლობა ტაძრის აგებით იწყებოდა, ანუ თავიდან ტაძარი იყო ქალაქი. სიმაგრეები მერე ჩნდებოდა და ტაძარიც მოგვიანებით ხდებოდა ქალაქი.





ანტიკური ხანის ქალაქი სრულიად განსხვავებული მოვლენაა. ეს არის მოქალაქეების კრებული. სწორედ ანტიკურ ქალაქში წარმოიშვა მოქალაქეთა ფენა, მოქალაქეთა საზოგადოებები, რომლებიც დღემდე ვითარდება, იქ დაიბადა თავისუფლება. ელინისტურ ხანაში, ანუ მაშინ, როდესაც ალექსანდრე მაკედონელმა მთელი აღმოსავლეთი დაიპყრო საფუძველი ჩაეყარა ელინისტურ ცივილიზაციასა და ელინისტურ კულტურას.

## რას ნიშნავს ელინისტური ცივილიზაცია?

ეს არის ბერძნებისთვის მიბაძვა.

დიახ, სამყარო ბაძავდა საბერძნეთს!

და ყველგან წარმოიშვა პოლისები, მათ შორის აღმოსავლეთშიც. რადგან მთელი მსოფლიოს მოსახლეობა თავისუფალ საზოგადოებას ბაძავდა, გამოდის, რომ კაცობრიობას თავისუფლება მოსწონდა და მიისწრაფოდა მისკენ!





| | |
|---|---|
| ანტიკური → | (antiquus – ძველი) – ნიშნავს ძველს. |
| დაქვემდებარებული → | პირი, რომელსაც ვიღაც განაგებს (ტერიტორიის შემთხვევაში ის ტერიტორიაა, რომელსაც ასევე ვიღაც - სავარაუდოდ, უფრო დიდი ერთეული - განაგებს). |
| განსაზღვრა → | რაღაცის გამოყოფა, მითითება, დაკონკრეტება. |
| პროვინცია → | დედაქალაქს ან მსხვილ კულტურულ ცენტრს დაშორებული ადგილი. |
| რელიგია → | იდეათა და ქმედებათა სისტემა, რომელიც დაფუძნებულია რწმენაზე. |
| ინტელექტი → | პიროვნების თვისება, რომელიც აზროვნების უნარის საფუძველია. |
| სოციალური → | ის, რაც საზოგადოების, ადამიანების ცხოვრებასთან არის დაკავშირებული და მათ ურთიერთობას ახასიათებს. |
| კრებული → | ამ შემთხვევაში საზოგადოება, ხალხი. |
| ელადა → | საბერძნეთი. |
| ელინიზმი → | მსოფლიო ცივილიზაცია, რომელიც ბერძნულ კულტურას ემყარება. |
| ცივილიზაცია → | საზოგადოებისა და კულტურის განვითარების დონე. |
| ჰაგიოგრაფია → | წმინდანთა ცხოვრების აღწერა. |
| თხზულება → | ნაწარმოები. |
| სატელიტი ქალაქი → | ფორმალურად (ვითომ) დამოუკიდებელი ქალაქი (ტერიტორიული ერთეული), რომელიც სინამდვილეში სხვას ემორჩილება. |



# ანტიკური ფილოსოფია

ანტიკურმა ეპოქამ განავითარა ფილოსოფიური აზრი.

„მე ვიცი ის, რომ ვიცი დიდი არცოდნა“



ბრძანა სოკრატემ (და არა ის, რომ: „მე ვიცი ის, რომ არაფერი ვიცი“, როგორც ეს დღეს არის გავრცელებული).

**საინტერესოა, რას გულისხმობდა დიდი ბერძენი ფილოსოფოსი?**

საქმე ის არის, რომ სოკრატე არცოდნის ცოდნას სამყაროს ცოდნას უწოდებდა. ბერძნული სამყარო-მთელ მსოფლიოს ერთ დიდ არცოდნად თვლიდა და მუდმივად მიისწრაფოდა ამ არცოდნის შესასწავლად. სოკრატეს მიაჩნდა, რომ კაცობრიობა უსასრულოდ იცოცხლებდა მანამდე, სანამ მიიღებდა არცოდნის ცოდნას.

ესე იგი, ანტიკური ეპოქის ფილოსოფია დროს პროგრესთან აიგივებდა!!!





ანტიკური ხანა შემოქმედების ეპოქაა, ეს იყო ხანა ყოვლად მშვენიერი ქმნილებების შექმნისა. მან წარმოშვა ბრძნული არქიტექტურის სამყარო, ხელოვნება, რომელსაც ახასიათებს ფილოსოფიაც. ანტიკური ეპოქის ფილოსოფიით ტაძარი უსათუოდ მშვენიერების კატეგორია უნდა ყოფილიყო (ვინდაც დანგრეული და განადგურებული). მისი დომინანტური ელემენტი სვეტები და კოლონებია.



## რატომ კოლონადა?

იმიტომ, რომ ის ასახავს სამყაროს სამყაროში, თავისუფალ სამყაროს რეალურ სამყაროში. ანტიკური ეპოქისთვის თავისუფლება ყველაფერშია - ის იგრძნობა შემოქმედებაში, სივრცეშიც და ღვთაებებისადმი დამოკიდებულებაში. ბერძნული მითოლოგიური სამყაროს ღმერთების ცხოვრება აღებულია ადამიანთა ყოფიდან, ოღონდ გააზრებულია ღმერთებისა და ღვთაებების შესაბამისად. ანტიკური ფილოსოფიით, ბუნების საიდუმლოებების ამოცნობა ყველას შეუძლია.



დასავლური სამყაროსგან რადიკალურად განსხვავებულია იმ პერიოდის აღმოსავლური სამყარო - იქ ქურუმების გარდა არავინ იცის, როგორია ღვთაების ბუნება. ამიტომაც არის მისი არქიტექტურა ჩაკეტილი, იკვეთება მოულოდნელი აქცენტები, ჩახლართული ლაბირინთები, ხოლო ბერძნული ტაძარი გახსნილია, შემთხვევით კი არ ამბობს ჰეროდოტე: „აღმოსავლურ სამყაროს არა აქვსო ტაძრები“. სინამდვილეში აღმოსავლურ სამყაროს ტაძრები, რასაკვირველია, აქვს, ისინი არქეოლოგიურადაც დადასტურებულია, უბრალოდ ბერძნებისთვის აღმოსავლური



ტაძარი ტაძარი არ იყო, ბერძნული სამყარო არ სცნობდა ასეთ ტაძრებს, საერთოდ არ მიიჩნევდა მათ ტაძრებად.

## ქანდაკება

ანტიკურ ეპოქაში გაჩნდა სახვითი ხელოვნების ყველაზე რთული დარგი - ქანდაკება. დედამიწაზე სულ რამდენიმე მწვერვალი არსებობს: ბერძნული კლასიკური და გვიანკლასიკური ქანდაკება, რენესანსი და იმპრესიონიზმი. რომ არ ყოფილიყო ბერძნული გვიანკლასიკური ქანდაკებები სამყაროში არც ერთი ეს მწვერვალი არ იარსებებდა.



## რა არის ასეთი ეს ქანდაკებებში? რა ახასიათებს მათ?

ქანდაკებას ახასიათებს ხედვის სხვადასხვა წერტილი. მრგვალი ქანდაკება იქმნება მაღალი ესთეტიკითა და აღქმით, ხოლო სამგანზომილებიანი ქანდაკებები ყოველი მხრიდან წარმოაჩენს მშვენიერებას. მშვენიერების წარმოჩენა და მისი დანახვა - აი, რა არის ანტიკური ქანდაკებების არსი.





ანტიკურ ხანაში წარჩინებული რომაელები ხშირად ტრაბახობდნენ იმით, თუ ვის უფრო მეტი ბერძნული ნივთი ჰქონდა სახლში! შესაბამისად, გაჩნდნენ კოლექციონერები. კოლექციებმა მოითხოვა არქეოლოგიური კონტექსტი (შინაარსი) და შეიქმნა პირველი კატალოგები.

ასე ჩაისახა არქეოლოგია. დიახ, სწორედ ანტიკური რომი გახლავთ არქეოლოგიის აკვანი. ალბათ, ამიტომ ამბობენ, რომ

## ყველა გზა რომისკენ მიემართება!




რომის სკულპტურა გადავიდა პორტრეტულ ხელოვნებაში და შეიქმნა ფსიქოლოგიური პორტრეტები. ცნობილია, რომ მსოფლიოში ვერც მანამდე და ვერც შემდგომ ვეღარავის მიუღწევია ხელოვნების იმ სიმაღლისთვის, რომელიც ახასიათებს რომის პორტრეტებს, თვით გაცილებით მონუმენტური და განზოგადოებული ბერძნული პორტრეტებიც კი, ანტიკური რომის პორტრეტებს ვერ შეედრება! იქ მარტო მსგავსებაა, სული და ხასიათი მხოლოდ რომაულ პორტრეტებში ჩანს.

## კიდევ რა შექმნა თავისუფლების ეპოქამ?



მისი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მონაპოვარი თავისუფალ პოლისებზე დამყარებული სახელმწიფოს მართვის სტრუქტურაა. ამ დროს დაიბადა დემოკრატია. ანტიკური სამყაროს პირმშოა ბერძნული სამყაროს ფორტიფიკაციური საორებები, ბერძნული არმია, წყობა, მექანიკა.

არქიტექტურა → შენობა-ნაგებობათა დაპროექტებისა და გაფორმების ხელოვნება.

პროექტი → სქემა, რომლის მიხედვითაც უნდა აშენდეს შენობა.

პროგრესი → განვითარება, წინსვლა.

ფსიქოლოგია → მეცნიერება ადამიანის ფსიქიკურ კანონზომიერებათა შესახებ.

ფსიქიკა → ტვინის განსაკუთრებული თვისება, ფუნქცია, რაც გამოიხატება გარე სამყაროს ასახვაში.

კანონზომიერება → რისამე შესაბამისობა.

კატეგორია → რაიმე ნიშნების მიხედვით გაერთიანებული მოვლენების, საგნების, ადამიანების ჯგუფი.

მითოლოგია → მითების შემსწავლელი დარგი.

წვდომა → რისამე აზრის, შინაარსის გაგება.

რადიკალური → უკიდურეს, გადამწყვეტ ღონისძიებათა (მოქმედებათა) მომხრე.

კოლექცია → ერთგვაროვანი ან თემატურად გაერთიანებული საგნების შეგროვება.

კონტექსტი → წერილობითი ტექსტის შინაარსობრივად დასრულებული ნაწყვეტი, რომელიც საშუალებას იძლევა განისაზღვროს მასში შემავალი ცალკეული სიტყვის ან ფრაზის მნიშვნელობა.

ქურუმი → წარმართული რელიგიური კულტების სასულიერო პირი.

კასტა → კარჩაკეტილი საზოგადოებრივი დაჯგუფება, რომელიც თავგამოდებით იცავს თავის პრივილეგიებს.

პრივილეგია იგივე უპირატესობა → განსაკუთრებული უფლება.

კატალოგი → რაიმე საგნების (მაგ., წიგნების, ხელნაწერების, სურათების, სამუზეუმო ექსპონატების და სხვ.) სია, რომელიც გარკვეული წესით არის შედგენილი.





ლაბირინთი → ბერძნულ მითოლოგიაში მრავალი დახლართული შესასვლელისა და გამოსასვლელის, უამრავი ოთახის შემცველი ძნელად გასაგნები შენობა.

აქცენტი → რაიმე აზრის, იდეის ხაზგასმა.

სახვითი ხელოვნება → მხატვრობა.

ესთეტიკა → ფილოსოფიური მოძღვრება ხელოვნების, მშვენიერების ფორმათა შესახებ. მხატვრულ შემოქმედებაში, ბუნებასა და ცხოვრებაში.

მონუმენტი → დიდი ზომის ძეგლი, რომელიც ეძღვნება მნიშვნელოვან ისტორიულ მოვლენას, გამოჩენილ მოღვაწეს და ა.შ.

ფორტიფიკაცია → სხვადასხვა სამხედრო-საინჟინრო ნაგებობა.





## იყო თუ არა ანტიკური სამყაროსთვის საინტერესო საქართველო?

რომაული არქიტექტურის თეორეტიკოს ვიტრუვიუსს თავის ნაშრომში „არქიტექტურის 10 წიგნი“ ასახავს ქართული სინამდვილე. მას დახასიათებული აქვს კოლხური და ფრიგიული სახლები. გამოდის, რომ ჩვენი არქიტექტორების დახვეწილ გემოვნებას არც ვიტრუვიუსი დატოვებია გულგრილი.

თავისუფალმა ბერძნულმა სამყარომ წარმოშვა კოლონიზაცია. ქ.წ. VIII-VII სს-დან ბერძნებმა დიდი საკოლონიზაციო მოძრაობა წამოიწყეს. იმ დროს მათ ერთიანი სახელმწიფო არ ჰქონდათ. ბალკანეთის ნახევარკუნძული, ეგეოსის ზღვის კუნძულები და ხმელთაშუა ზღვის მცირე აზიური სანაპირო (ტერიტორია, სადაც ბერძნები ცხოვრობდნენ) მოფენილი იყო დამოუკიდებელი ქალაქ-სახელმწიფოებით, ანუ პოლისებით. ამ პოლისებმა ხმელთაშუა და შავი ზღვის სანაპიროზე დაიწყეს ახალი ქალაქების - კოლონიების დაარსება. ანუ ზღვისპირა სავაჭრო ქალაქებმა თავიანთი განვითარების პარალელურად სხვა ფუნქციებიც შეიძინა. მათკენ დაიძრა მთელი საბერძნეთი, ვინაიდან გაჩნდა პირველი ჭარბი მოსახლეობა.



## რას ნიშნავდა საბერძნეთისთვის ჭარბი მოსახლეობა?



ეს სულ არ გულისხმობდა ხალხის სიბევრეს. უბრალოდ... საბერძნეთში არ დაედგომებოდა საშუალო ნიჭის ადამიანს. საბერძნეთის მკვიდრი ან გენიოსი უნდა ყოფილიყო, ან რაიმე ტალანტით დაჯილდოებული! ამიტომ ჩვეულებრივი მოკვდავნი მიდიოდნენ და აარსებდნენ ქალაქებს, ერწყმოდნენ ადგილობრივ მოსახლეობას.





ბერძნული ახალშენები გაჩნდა საქართველოს ტერიტორიაზე, შავი ზღვის სანაპიროზე: ფაზისი 4 (ფოთი), გიენოსი (ოჩამჩირე), დიოსკურია (სოხუმი), პიტიუნტი (ბიჭვინთა); ახალშენი იყო ასევე ქობულეთ-ფიჭვნარის ტერიტორიაზე. პირველი ახალშენები საქართველოში ქალაქ მილეტიდან ჩამოსულმა ვაჭრებმა დააარსეს.



დიდმა ბერძნულმა კოლონიზაციამ, სავაჭრო ურთიერთობა წარმოშვა და VI საუკუნიდან დამოუკიდებელ პოლისთა შორის საქალაქთაშორისო ვაჭრობა განვითარდა. კოლხეთიდან ბერძნებს გაჰქონდათ ხე-ტყე, ცვილი, ფისი, სელი და სელის ნაწარმი (გემთსაშენი მასალა), თაფლი, ოქრო, რომელიც მდინარეებს ჩამოჰქონდა და მოსახლეობა ვარცლებითა და ტყავებით აგროვებდა (აქედან მომდინარეობს მითი ოქროს საწმისზე, არგონავტებზე). საბერძნეთიდან კი შემოდიოდა მაღალი ხარისხის ღვინო, ზეითუნის ზეთი, კერამიკული და მინის ნივთები, საიუველირო ნაწარმი. ქ.წ. VI ს-დან იჭრება ადგილობრივი ვერცხლის ფული - კოლხური თეთრი.

# საქართველოში კი...



იმერეთის მხარეში მდებარეობს ქალაქი ვანი, რომელიც უმნიშვნელოვანესია ჩვენი ქვეყნის არქეოლოგიისთვის. ვანის ნაქალაქარზე მოპოვებული უძველესი არქეოლოგიური მასალა ქ.წ. VIII-VI საუკუნეებით თარიღდება.

ძველი ანტიკური ხანის ვანის ნაქალაქარი განფენილია ქალაქ ვანის მახლობლად არებულ ბორცვზე და მოიცავს დაახლოებით 8,5 ჰექტარ ფართობს. ამ გორაკიდან კარგად ჩანს რიონის დაბლობი, ქალაქი ქუთაისი

და კავკასიონის მთები. აქედან შეიძლებოდა მარჯვედ ედევნებინათ თვალყური ვანზე გამავალი დიდი სავაჭრო გზისთვისაც, რომელიც ინდოეთიდან მიემართებოდა კასპიის ზღვამდე, ხოლო შემდეგ ამიერკავკასიის ქვეყნებზე გავლით აღწევდა შავ ზღვამდე.



თურმე ვანს, ჯერ კიდევ XIX საუკუნეში მიაქციეს ყურადღება მეცნიერებმა. 1847-1848 წლებში კავკასიაში მოგზაურობდა ფრანგი ქართველოლოგი აკადემიკოსი მარი ბროსე. ქუთაისში ყოფნისას საპატიო სტუმრისთვის მიურთმევიათ მამაკაცის თავის ქანდაკება, რომელიც ვანში ყოფილა ნაპოვნი. მარი ბროსეს აღწერით ეს იყო ,,მამაკაცის ბიუსტი მხრების დასაწყისამდე, თმიანი და წვერიანი, არწივისებრი დიდი ცხვირითა და სარდონიკული სიცილით"...



1876 წელს ქართული გაზეთი ,,დროება" წერდა: ,,აქ ისე წვიმა არ მოვა, რომ არ ჩამოიტანოს გორიდან ნიაღვარმა ხან ოქროები, ხან ოქროს მეწკვები, ხან ბეჭდები, ხან რა და ხან რა ნივთეულობა... დიდი სიმდიდრე უნდა იყოს ამ გორაზე..."

ამ სტატიის შემდეგ ვანით ექვთიმე თაყაიშვილი დაინტერესებულა და 1896 წელს დაიწყო პირველი არქეოლოგიური გათხრები ქალაქის ტერიტორიაზე, რომელმაც უამრავი უმშვენიერესი და უძვირფასესი არტეფაქტით დაამშვენა ქვეყნიერება.





თეორეტიკოსი → პირი, რომელიც ამუშავებს ცოდნის ამა თუ იმ დარგის თეორიის საკითხებს.

თეორია → წესების ერთობლიობა, რომელიც აუცილებელია რაიმეს შესასწავლად.

ფრიგია → ფრიგიელებით დასახლებული ძველი ქვეყანა მცირე აზიის შუაგულში.

კოლონიზაცია → საკუთარი ქვეყნის განაპირა მიწების დასახლებისა და სამეურნეო ათვისების პროცესი.

ჩვეულებრივი მოკვდავნი → ადამიანები, რომლებიც არაფრით გამოირჩევიან (იგულისხმება ნიჭიერება, ან რაიმე განსაკუთრებული უნარები).

შერწყმა → შერევა.

ახალშენები → ახალდასახლებული ადგილები.

ვარცლი → ხის ჭურჭელი, მოგრძო და ღრმა.

საიუველირო ნაწარმი → ოქრო-ვერცხლისა და ძვირფასი ქვებისგან დამზადებული სამკაულები.

მილეტი → უძველესი ქალაქი-სახელმწიფო ანატოლიის დასავლეთში.

მარი ბროსე → ფრანგი ქართველოლოგი.

სარდონიკული → დამცინავი, გესლიანი.



# რაც მთავარია!

ამ თავისუფლებისა და მშვენიერების ეპოქაში დაიბადა ახალი წიგნიერი რელიგია – ქრისტიანობა და სამყარო შუა საუკუნეებს მიუახლოვდა.



შენი დღევანდელი მოგზაურობა არქეოლენდში დამთავრებულია. იმ წერილებიდან, რომელსაც არქეოლენდს უგზავნი, ჩვენ უკვე ვიცით, რომ შენ და შენი მეგობრები ძალიან განათლებული გოგო-ბიჭები ხართ, მაგრამ რამდენად წარმატებული იყო შენთვის მოგზაურობა ანტიკურ ხანაში ახლა გავიგებთ.

მაშ ასე, თუ შენ უკვე 7 წლის ხარ და ჯერ არ ხარ 17-ის, თეკლა დოლიძე და ნიკოლოზ ყიფიანი დაგისვამენ შეკითხვებს, ჩაერთე ინტერაქტიულ თამაშში, პარიზში მცხოვრებ შენს თანამემამულე თინათინ სარჯველაძესთან ერთად, გაეცი მათ პასუხები და გამოგზავნე

ელ. მისამართზე: archaeologicalunit@heritagesites.ge

ან მოდი და მოიტანე შენი პასუხები, მის.: თაბუკაშვილის 5, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო, არქეოლოგიის სამსახური.



# შეკითხვები



რა არის ანტიკური?

რას ნიშნავს დაქვემდებარებული?

რას უწოდებენ ადმინისტრაციულ მმართველობას?

განსაზღვრა ანუ?

რა არის პროვინცია?

რისი სახელწოდებაა მონოპოლია?

რას ნიშნავს რელიგია?

რას ჰქვია ინტელექტი?

რა არის სოციალური?

ცივილიზაცია ანუ?

რა არის აგიოგრაფია?

რას ეწოდება თხზულება?

კრებული ანუ?

რას უწოდებენ ელადას?

რას ჰქვია ელინიზმი?

რა არის დაბნები ?

როგორი ქალაქია სატელიტი?

რას ჰქვია პროგრესი?

არქიტექტურა?





რას ეწოდება დაპროექტება?

ფსიქოლოგია ანუ?

რა არის ფსიქიკა?

რას ჰქვია კანონზომიერება?

კატეგორია?





რას უწოდებენ მითოლოგიას?

წვდომა ანუ?

რა ყოფილა რადიკალური?

რა არის კოლექცია?

კონტექსტი ანუ?

ვინ არიან ქურუმები?

რას ეწოდება კასტა?

კატალოგი?

რა ყოფილა ლაბირინთი?

რა არის აქცენტი?

სახვითი ხელოვნება ანუ?

რა არის ესთეტიკა?

როგორი ძეგლია მონუმენტი?

თეორეტიკოსი?

სად არის ფრიგია?

რა არის კოლონიზაცია?

ჩვეულებრივი მოკვდავი ანუ?

რას ჰქვია შერწყმა?

რა არის ახალშენები?



როგორი ჭურჭელია ვარცლი?

საიუველირო ნაწარმი ანუ?

ვინ იყო მარი ბროსე?

რას ნიშნავს სარდონიკული?







ახლა შენ უკვე შუა საუკუნეების კარიბჭესთან დგახარ, იწყება ბრწყინვალე რაინდთა გმირული თავდადების ეპოქა!

დადგა განზოგადოებული აზროვნებისა და საკუთარი დასკვნების გამოტანის დრო!

ამიტომ, არ მიატოვო „არქეოლენდი“!

ერთად ვნახოთ:



„ია განგებამ დახატა თუ ფიროსმანის ყალამმა?“

და ვინაიდან, არქეოლენდის მხიარულ სამყაროში ცოდნისა და განათლების ჟუჟუნა წვიმამ უკვე „დიდი მინდორი დანამა!“

დროა, წავიდეთ წინ – შუა საუკუნეებისკენ!

თუმცა, მანამდე
სულ მცირე ხნით
სიცოცხლის ხის
სათავეებთან უნდა
შევჩერდეთ!





ტექსტში გამოყენებულია პერიფრაზები
ანა კალანდაძის საყმაწვილო ლექსებიდან.





# ARCHAEOLAND

If you have been friends with 'Archaeoland' for a long time, it means you know much more than your peers. It also means that you have already made friends with 'Grey Horses':

**'You have crossed seven skies without a rest'.**

You have struggled against nature together with primitive people, have hunted arm-in-arm with the Mesolithic humans and have decorated the earth with first villages!



**Then?**

Then you were fed up with wandering and shifted to living a settled life and brought about Neolithic revolution!

## Then?



Then you rebelled against ignorance by means of knowledge and discovered bronze! You caused good turn of events for mankind!...






And reached the door of ancient civilization! Therefore, 'Archaeoland' is ready to take you on a journey through the antiquity, the world that was given birth to by freedom and show you the colors in a beautiful field.

Thus, if you have already turned seven and have not turned 17 yet, Doctor of Archaeology, Professor Guram Kipiani will take you on a journey to the archaeopolises of freedom together with eight-year-old Tekla and nine-year-old Nikoloz Kipiani!



So, follow them and guide our compatriot, seven-year-old Thina Sarjveladze, who lives in France, who has made your French peers friends with the fabulous stories of 'Archaeoland'.





**However, as we all remember it well that, just like**

"Poppy reddish beautied the rye
Fellow's good study happied mother"





## let us stop for a moment to repeat:

- ✓ Someone who carries out excavations and draws conclusions about what happened on the earth in a specific age – where and how humans lived, how they adapted to the environment, how they hunted or fished, how they advanced and how mankind reached the present day – is referred to as archaeologist.
- ✓ The earliest archaeological culture of the earth is Paleolithic.
- ✓ Neanderthals mainly lived in caves and open dwellings.
- ✓ Early Stone Age was replaced by Middle Stone Age – the Mesolithic.
- ✓ In Mesolithic era foundations were created for a settled way of life – sedentarism, cultivation of plants and domestication of animals, which became the cause for emerging of permanents settlements.
- ✓ Mesolithic Era was replaced by the Neolithic – the New Stone Age.
- ✓ In the Neolithic Epoch humans acquired new skills of gaining livelihood and there occurred Neolithic revolution.





- ‘Neolithic Revolution’ is one of the most important leaps in the development of mankind, the time when transition from a lifestyle of hunting and gathering to that of producing their own food (farming, cattle-breeding) and settling down took place.
- Early villages emerged.

- The sixth-fifth millennia before Christ was the epoch of Eneolithic - the transition period from the Neolithic to the Bronze Age.
- In the Eneolithic epoch human diet already included milk and dairy products; humans learnt to consume copper and mankind stepped into the Bronze Age.
- Between the third millennium and the beginning of the first millennium Before Common Era the earth was going through the epoch of cultural and historic development of mankind referred to as the Bronze Age.
- The Bronze Age is divided into three periods: Early Bronze, Middle Bronze and Late Bronze ages.
- It is when humans received bronze, which is recognized to be equal to the discovery of oil.
- The Bronze Age witnessed the development of metallurgy; there emerged ownership; private property caused privileged classes, military leaders to come round. The cult of chief was established; there appeared the written language; commerce advanced; agriculture, livestock raising and pottery making reached a high level.

**And the Classical antiquity set in on earth!**

Gate → a projecting part of a building which is created by columns or arches supporting the roof and is open on one or three sides; a solemn entrance to a city, palace, etc. Archaeopolis – ancient city (ancient Greek: archaeo – meaning ‘ancient’, polis – meaning ‘city’).

Paleolithic → the longest and earliest period of the Stone Age.

Evolution → is a Latin word which means the act of unrolling, unfolding or opening. Evolution is a consistent and gradual process of development of any kind of change. Its opposite form is ‘revolution’, or a sudden, radical change in something.

Sedentarism → a settled way of life.

Megalith → a structure built with huge stones.

Structure → construction.

Ceramic → clay.

Epoch → a long period of time characterized by remarkable events.

Remarkable → distinguished by something, prominent, memorable.

Age → a definite period of time.

Pottery making → producing objects from baked clay.





# CLASSICAL EPOCH

Ancient civilization of Classical antiquity covers twelve centuries of the history of mankind. The Classical period started in the eighth century BC and continued through the mid fifth century AD.



## It is interesting what caused antiquity to emerge.

First of all, it was the free world, i.e polises. The literal meaning of ‘polis’ is ‘city’. However, in the Classical period a city ruled the country subordinate to it. It is where the word ‘politics’, or the art of managing polises, stems from.



## But what does a ’polis’ mean? What is its function?

No matter what the size of an area is, it can be referred to as ‘polis’. Some polises are big, others are small. However, even though cities differ from each other, they all still have something in common. One of the features of a city is distribution of government across the whole country, which

means that a certain territorial unit is called a 'city' in the case it governs the country's provinces and manages the system of goods distribution. However, Greeks and Romans only referred to a territory as a city which was confined with a fortress.



The point is that development of every city started with building a temple, i.e. in the beginning the temple used to be a city. Later there appeared fortresses and the temple would grow into a city.

The city of the Classical period is a completely different phenomenon. It is a congregation of citizens. It was the city of the Classical antiquity which generated a class of citizens, societies of citizens which still undergo development; it was there that freedom was born. In the Hellenistic epoch, i.e. when Alexander the Great conquered the whole Orient, foundations were laid for the Hellenistic civilization and the Hellenistic culture.

What does the Hellenistic civilization mean?

It is imitating the Greeks.

Yes, the world was imitating Greece!

There emerged polises everywhere, including the eastern world. As the population of the whole world imitated the free society, it means that mankind was fond of freedom and strove for it.





Antiquity → (antiquus – old) means old.

Subordinate → person who is governed by someone (in the case of the territory it is the one that is also governed by someone, presumably a bigger unit).

Define → distinguish, point, specify.

Province → a place located away from the capital or a major cultural center.

Religion → system of ideas and actions based on a belief.

Intellect → a personal quality which is basis for mental powers.

Social → something related to society, life of humans and characterizes their relations.

Group, class → here: society, public.

Hellas → Greece.

Hellenism → world civilization based on Greek culture.

Civilization → level of development of society and culture.

Hagiography → description of saints' lives.

Piece of writing → written work.

Satellite city → outwardly independent city (territorial unit) that, in fact, is subordinate to others.



# ANCIENT PHILOSOPHY



Classical epoch developed philosophical thinking.

Socrates said:

**"I know that I know much ignorance"**

(but not " I know that I know nothing", which is so common today).

**It is interesting what the great Greek philosopher meant!**

The point is that Socrates referred to knowledge of the universe as the knowledge of ignorance. The Greek world considered the whole world as major ignorance and permanently endeavored to explore ignorance. Socrates believed that mankind would certainly live to the time when it received the knowledge of ignorance.





**It means that the philosophy of the Classical antiquity identified time with progress!**

The Classical period is the epoch of creativity, the age of producing most beautiful creations. It generated the world of Greek architecture, art, which is characterized by philosophy as well. According to the philosophy of the Classical epoch, a temple must have been a category of beauty (let it be ruined and devastated). The elements dominating in it are columns and colonnades.



## Why colonnades?

Because they depict the world in the world, the free world in the real world. For the epoch of the Classical Antiquity freedom is in everything – it can be perceived in creative work, space and approach to deities. Life of the gods of the Greek mythological world is adopted from humans' life but conceptualized in conformity with the concept of gods and deities. According to the Classical philosophy, everyone has the ability of recognizing secrets of nature.

Oriental world of the same period dramatically differs from the western one – in the former only priests are capable of understanding the nature of deity. It explains why its architecture is closed, there appear unexpected accents, elaborate labyrinths, whereas Greek temples are open. As Herodotus mentions, "oriental world does not

have temples". In fact, it does have temples, which have been evidenced archaeologically as well, but the Greeks did not perceive eastern temples as ones, the Greek world did not recognize such temples and, commonly, did not regard them as temples.



## Sculpture

It was the Classical antiquity that generated the most complex branch of visual arts – sculpture. There are only a few summits on earth: Greek Classical and Late Classical sculpture, Renaissance and Impressionism. If there had not been Greek Late Classical sculptures, there would not exist any of these summits.



**And yet, what are these sculptures about? What are their characteristic features?**





Sculpture is characterized by various points of view. Sculpture in the round is created with high level of aesthetics and perception, and three-dimensional ones demonstrate beauty on all sides. Showing beauty and make it be perceived – is the essence of the sculptures of Classical antiquity.

In the Classical era Romans often boasted about who had more Greek items at home! Accordingly, there emerged collectors. Collections required archaeological context (content) and early catalogues came around.

This is how archaeology was born. Yes, it was ancient Rome that became the cradle of archaeology. Probably, this is why they say that –

**all roads lead to Rome!**



Roman sculpture developed into the art of portrait and psychological portraits were created. It is widely accepted that no one has managed to reach the heights of art that are common in Roman portraits either before or after. Even Greek sculptures, which are more monumental and generalized cannot compare with Roman portraits! The former represent just resemblance, while the spirit and nature are visible only in Roman portraits.

# What else did the epoch of freedom create?

One of its most important achievements is the structure of state governance based on free polises. It is when democracy was born. The Classical world produced fortification miracles of the Greek world, the Greek army, social system, mechanics.

- Architecture → art of planning, designing and constructing buildings or other structures.
- Project → plan according to which a structure must be built.
- Progress → development, advance.
- Psychology → science of mental regularities of a human.
- Psychic → special feature, function of the brain expressed in the reflection of the outer world.
- Regularity → being compliant with something.
- Category → a group of phenomena, objects, individuals united by common feature.
- Mythology → a field studying myths.
- Insight → the capacity to gain deep understanding of something
- Radical → supporter of key, drastic measures (operations).





Collection → gathering of homogeneous or thematically united objects.

Context → an extract of a written text which is complete in content and which makes it possible to determine the meaning of a separate word or phrase involved in it.

Priest → minister of pagan religious cults.

Caste → reclusive social group that anxiously defends their privileges.

Privilege, or priority → special right.

Catalogue → list of objects (e.g. books, manuscripts, pictures, museum exhibits, etc.) that is compiled according to a specific system.

Labyrinth → in Greek mythology a structure with complicated irregular network of passages and rooms in which it is difficult to find one's way.

Accent → to emphasize an opinion or an idea.

Fine art → painting.

Aesthetics → branch of philosophy which deals with the forms of art and beauty in artistic creativity, nature and life.

Monument → a big-size structure dedicated to an important historic event, prominent figure, etc.

Fortification → various military-engineering structures.



# Was Georgia an interesting place for the Classical antiquity?



A theoretician of Roman architecture Vitruvius had described Georgian reality in his work 'Ten Books of Architecture'. He provides a reference of Colchian and Phrygian houses. It means that the sophisticated taste of our architects did not leave Vitruvius indifferent.

The free Greek world generated colonization. From the eighth – seventh cc BC the Greeks launched colonization movement. At the time they did not possess a united state. Balkan Peninsula, Aegean islands and the Mediterranean coastline of Asia Minor (the territory inhabited by the Greeks) were covered with independent city- states, i.e. polises. These polises started establishing new cities – colonies – along the Mediterranean and the Black Sea coasts. It means that in the process of development the maritime commercial cities acquired other functions as well. Whole Greece started settling in the newly founded colonies as the first excessive population emerged.





# What did excessive population mean to Greece?



It did not mean a huge number of the population at all. The point was that it was simply impossible for a person of average talent to stay in Greece. An inhabitant of Greece had to be either genius or, at least, gifted with some talent! This is why mere mortals left and founded cities, assimilated with local populations.

Greek colonies emerged on the territory of Georgia, on the Black Sea coast. They were Phasis 4 (Poti), Gienos (Ochamchire), Dioskuria (Sokhumi), Pitiunt (Bichvinta); there was a new settlement on the territory of Kobuleti-Pichvnari. Early settlements in Georgia were established by the merchants who had arrived from the city of Miletus.

Great Greek colonization generated trade relations and from the sixth century intercity commerce developed among the independent polises. From Colchis the Greeks exported timber, wax, resin, flax and flax products (shipbuilding material), honey, gold which was washed down by rivers and was gathered by the population with troughs and leather (this is where the myth about the golden fleece and the Argonauts stem from). However, they imported high quality wine, olive oil, ceramic and glass ware, jewelry. In the sixth century BC they started minting local silver coins – Colchian tetri.



# MEANWHILE, IN GEORGIA...

There is a town situated in the region of Imereti called Vani. It is one of the most important sites for archaeology of our country. The ancient archaeological material obtained at the city-site of Vani dates to the eight-sixth cc BC.



The ancient city-site of Vani is located on a hill near the town of Vani and covers an area of 8.5 ha. The hill provides views over the Rioni Plain, the city of Kutaisi and the Greater Caucasus Mountains. From here they could also keep control of the great trade route running through Vani which lead from India to the Caspian Sea and reached the Black Sea via the Transcaucasian countries.

Vani had drawn scientists' attention as early as the 19$^{th}$ century. A French kartvelologist, Academician Marie Brosset journeyed to the Caucasus in 1847-1848. While visiting Kutaisi, the guest was presented a sculpture of a man's head which had been found in Vani. Marie Brosset described it as "a man's bust over the shoulders, with hair and beard, an eagle-like big nose and a sardonic smile"...



Having read this article Ekvtime Takaishvili became interested in Vani and in 1896 first archaeological excavations started on the territory of the city which adorned the world with a lot of most beautiful and precious artifacts.





Theoretician → person who deals with problems of theory of various branches of knowledge.

Theory → set of rules necessary for studying something.

Phrygia → an ancient country populated by Phrygians located in the middle of Asia Minor.

Colonization → process of inhabiting and appropriating lands outside one's own country.

Mere mortals → people who are not distinguished by anything (talent or some skills).

Merging → mixing.

Colonies → new settlements.

Trough → longish deep wooden vessel.

Jewelry → ornaments made from gold, silver and precious stones.

Miletus → ancient city-state in western Anatolia.

Marie Brosset → French kartvelologist.

Sardonic → mocking, sarcastic.



# MOST IMPORTANTLY!

In this epoch of freedom and beauty a new book-based religion – Christianity was born and the world approached Middle Ages.









Your today's journey in Archaeoland has come to an end. From the letters that you send to Archaeoland we already know that you and your friends are highly educated girls and boys, but let us find out how successful this journey was for you.

Thus, if you have turned seven and have not turned 17 yet, Tekla and Nikoloz will put questions to you. Join in the interactive game together with your compatriot Thina Sarjveladze, who lives in Paris, answer the questions and send them at the e-address

archaeologicalunit@heritagesites.ge

or just come and bring your answers at: 5, Tabukashvili Street, Unit of Archaeology, the National Agency for Cultural Heritage Preservation of Georgia.



# QUESTIONS



What is Hellenism?

Civilization or?

What kind of text is 'Conversion of Kartli?'

What is hagiography?

What is Classical Antiquity?

What does subordinate mean?

What is referred to as administrative governance?

Define or?

What is province?

What is called monopoly?

What does religion mean?

What is intellect?

What is social?

Collection or?

What is Hellas?





What is a composition?

What are hamlets?

What kind of city is a satellite?

What is progress?

Architecture?

What is designing?

Psychology or?

What is psychics?

What does regularity mean?

Category?

What do they call mythology?

Insight or?

What does radical mean?

What is a collection?

Context or?

Who are priests?

What does caste mean?

Catalogue?

What is a labyrinth?

What is accent?

Fine art or?





What is aesthetics?

What kind of structure is a monument?

Theoretician?

Where is Phrygia?

What is colonization?

Mere mortals or?

What is merging?

What is a colony?

What kind of vessel is a trough?

Jewelry or?

Who was Marie Brosset?

What does sardonic mean?





Now you are standing at the gateway of the Middle Ages.

The epoch of heroic devotion of splendid knights!

There arrived the time of generalized thinking and drawing personal conclusions.

Consequently, do not leave 'Archaeoland'!

Let us see together what made things happen.

And, as drizzling rain of knowledge and education has already covered the joyful world of Archaeoland with dew, let us go further towards the Middle Age!

